

ტემპერამენტი - Temperament - Темперамент

(ლათ. tempero ზომიერებას ვიცავ →

tempërāmentum სწორად განაწილება, თანაზომიერება)

ადამიანის ძირითადად თანდაყოლილი **დისპოზიცია** (სულის წყობის თავისებურება), რომელიც განაპირობებს **დადებით-უარყოფით გრძნობათა დინამიკას** – აგზნებადობა, სიძლიერე, ხანგრძლივობა; ანუ განაპირობებს იმას, თუ ერთსადიმავე გარე ვითარებაში და ერთიდაიმავე შიგა მდგომარეობის პირობებში როგორი იქნება ამათუიმ ადამიანის გრძნობის შემდეგი თვისებები – სხვა ადამიანებთან შედარებით:

- გრძნობის აღმოცენების, მოქმედების, დასრულების სიჩქარე; მისი სიძლიერე; მისი ხანგრძლივობა;
- განცდის შიდაარსი – დადებით-უარყოფითი გრძნობების თანაფარდობა;
- ამ ადამიანის **იმპულსური ქცევა**.

ტ ზემოქმედებს აგრეთვე **ნებელობის** მიერ **ქცევისა** და **გრძნობათა მართვაზე**.

ოდითგანვე გამოკვეთილია ტ-ის 4 მარტივი ანუ წმინდა ტიპი. ესაა კაცობრიობის ისტორიაში უძველესი **ტიპოლოგია**. ამ ტიპების თვალსაჩინო მაგალითი აღწერილია ა. დიუმას სახელგანთქმულ რომანში „სამი მუშეკეტერი“ – ოთხიდან თვითეული მეგობარი ტ-ის თითო ტიპს განასახიერებს:

	ბრძნობები	ქმევა	გნ-ხასიათი
სანგვინიკი (არამისი)	გერელე +	განონასწორებული	მხნე, სწრაფი, საქმიანი, ოპტიმისტი, რეალისტი, საზოგადოებრივი, გულშიარი, სასიამოვნო
ქოლერიკი (ღარბანიანი)	ღრმა – +	განონასწორებული	მხნე, მგზნებარე, ღიხი, რთული, პიროვნული, რომანტიკოსი, საქმეში მრავალსშემდე
მელანქოლიკი (ათოსი)	ღრმა –	განონასწორებული	პესიმისტი, ნაღვლიანი, რთული, ჩუმი, პასიური, რომანტიკოსი, ღიქრებში ჩაპირული, საქმეში სუსტი
ფლეგმატიკი (პორთოსი)	გერელე 0	განონასწორებული	აუღელვებელი, ღიწი, ნელი, საქმეში სუსტი, ძნელადსამოქმედებელი, რეალისტი

ამ ცხრილში + და – ნიშნები აღნიშნავს შესაბამისად დადებით-უარყოფით გრძნობებს (მათ სიჭარბეს). ყველაზე თვალსაჩინოდ ეს **შფოთვის** მაგალითზე

ჩანს:

ფლემანტიკის შფოთვის დონე (ფონი) ყოველთვის იმდენად დაბალია, რომ ადამიანი ძნელად ამოქმედდება, იგი „უგრძნობელი“ და პასიურია. სანგვინიკის შფოთვის დონე ზომიერი აქვს, რის გამოც იგი აქტიურია, მაგრამ – მშვიდად აქტიური და გაწონასწორებული. ქოლერიკის შფოთვის დონე მაღალი აქვს, რის გამოც იგი აქტიურია, მგზნებარეა, გაუწონასწორებელია, ფიცხია, თუმცა დიდ წინააღმდეგობათა გადალახვისა და მაღალი შემოქმედების გამორჩეული უნარიც ხშირად აქვს (მით უმეტეს, თუკი მეტ-ნაკლებად მაინც ხელეწიფება საკუთარ გრძნობათა მართვა). მელანქოლიკის კი შფოთვის დონე იმდენად მაღალი აქვს, რომ მისი აქტიურობა ითრგუნება და მწუხარე ფიქრებში იძირება.

ტ-ის ტიპებს ყველაზე მკაფიოდ გრძნობათა აგზნებადობა განასხვავებს, თანაც ცალ-ცალკე დადებით და უარყოფით გრძნობათა – შეიძლება დაბალი ან მაღალი იყოს ორივე ან მხოლოდ ერთერთი. თეორიულად შესაძლებელია მაღალ-დაბალი აგზნებადობის ოთხი კომბინაცია და თვითუფიქრული ეს კომბინაცია ზუსტად შეესაბამება ტ-ის თითო ტიპს:


გრძნობათა აგზნებადობა:	დადებითობა	უარყოფითობა
სანგვინიკი	მაღალი	დაბალი
ქოლერიკი	მაღალი	მაღალი
მელანქოლიკი	დაბალი	მაღალი
ფლემანტიკი	დაბალი	დაბალი

ტ-ის ტიპი ძირითადად თანდაყოლილია, **ნერვული სისტემის ნეიროფიზიოლოგიური** თვისებებითაა განსაზღვრული. ამიტომ სიცოცხლის განმავლობაშიც თითქმის არ იცვლება, თუკი არ მოხდა ადამიანის ნერვული სისტემის ძირეული ფიზიოლოგიური ცვლილება. მაგ., ნარკომანს ეცვლება ტ-ის ტიპი და ნარკომანების დიდი უმრავლესობის ტიპი ერთმანეთს ემსგავსება: წამლის ნაკლებობისას – ქოლერიკული, წამლის მიღების შემდეგ – ფლემანტიკური ან სანგვინიკური. ჩვეულებრივ კი საკმაოდ მდგრადია ადამიანის თავისებურება დადებით გრძნობათა სიხშირისა და ადვილი აგზნებადობისა, ისევე როგორც უარყოფით გრძნობათა – შედარებით სხვა ადამიანებთან. უფრო ზუსტად: გრძნობათა აგზნებადობა ბავშვობაში მეტია ყველა ადამიანისთვის [იხ. **გრძნობის განვითარება**], მაგრამ მაგ. ქოლერიკს ყოველ ასაკში საშუალოდ მეტი აგზნებადობა ახასიათებს, ვიდრე მის სხვა

თანატოლებს.

ტ-ის ფსიქოლოგიური საფუძველი კი **განწყობის** მოქმედების დინამიკის ძირითადად თანდაყოლილ ინდივიდუალურ თავისებურებებს უკავშირდება [ვლ. ნორაკიძე] (**აგზნებადობა, სიმტკიცე, სტატიკურ-დინამიკურობა, სიტლანქე-პლასტიკურობა, ილუზიის სიდიდე**).

ტ-ის თვითმეული ტიპი იწვევს შესაბამის იმპულსურ ქცევას. თუმცა, ცხადია, ადამიანს ხელეწიფება ამ ქცევის შეკავება და შეცვლა გონებითა და **ნებისყოფით**, მაგრამ პირველი იმპულსი მაინც ტ-ის ტიპის შესაბამისი წამოეჭრება. ეს კანონზომიერება ბრწყინვალეაა გამოსახული შემდეგ კომიქსებში [მხატვარი ბიტსტრუპი] (ძელსკამზე მჯდარ ტიპს გვერდით ედო ქული, რომელსაც, ტლანქი დაუდევრობით, დააჯდა ახალმოსული კაცი). კომიქსებში თვითმეული ტიპის გარეგნობაცა და თავდაპირველი პოზაც გონება-მახვილურადაა გამოსატული:



ტ-ის წმინდა ანუ მარტივი ტიპები ცხოვრებაში იშვიათად გვხვდება – ადამიანს, როგორც წესი, ორი-სამი ტიპის ნიშანთვისებები ახასიათებს, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში იჩენს თავს. მაგ., მავანი მოჭიდავე შეჯიბრებაზე უმეტესად ქოლერიკული ტიპია, ხოლო მეგობრებთან ურთიერთობისას – სანგვინიკური.

ამასთან, ზოგი ადამიანისთვის ერთერთი ტიპია მკვეთრად წამყვანი და ამ ადამიანის ტ-ის ტიპი ერთერთ მარტივ ტიპს ჰგავს; ხოლო ზოგისთვის წამყვანი ტიპი სუსტადაა გამოკვეთილი და ორი-სამი მარტივი ტიპი ხშირად მონაცვლეობს. ესე იგი რთული ტიპი რომელიმე ორი-სამი მარტივი ტიპის თავისებური ნაჯვარია, ერთი ტიპის მკვეთრი ან სუსტი აღმატებით.

ტ-ის რთულ ტიპს ემატება კიდევ ერთი, მისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მახასიათებელი – ნებისყოფის სიძლიერე. ეს ქცევის დინამიკის ტიპოლოგიას კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს.

ტ-ის ცნება და ტიპები ერთერთი უძველესია ფსიქოლოგიის ისტორიაში. ძველ ბერძნებს (**ჰიპოკრატეს** მედიცინიდან მოყოლებული) მიაჩნდათ, რომ ტ-ის ტიპები განპირობებულია ადამიანის სხეულში სხვადასხვა სასიცოცხლო სითხეთა თანაფარდობით – თუ ოთხიდან რომელი სითხე ჭარბობს (სასიცოცხლო სითხედ მიაჩნდათ ბერძ. flegma → ქართ. ფელგამი || თელგამი → ბალღამი). ეს მოძღვრება, არაბული მედიცინის გავლით, ქართულშიც შემოვიდა და შესატყვისი ტერმინები სულხან-საბას ლექსიკონშიც დამკვიდრდა:

	ბერძნულ-ლათინური	ქართული
სანგვი-	sanguis სისხლი	წითელი სისხლი
ფლეგმა-	phlegma ღამწვარი, ჩამწვარი	თეთრი ნალღველი = ბალღამი
ქოლერ-	cholos ნალღველი (ყვითელი), ღვარამღიანობა	მწითურ-ყვითელ-ქალაი ნალღველი = წათხი = არაბ. ზაფრა
მელანქოლ-	melanos შავი + cholos ნალღველი	შავი (ლურჯ-მწვანე) ნალღველი = არაბ. სავდა → სევდა

ცხრილიდან ჩანს, რომ ტ-ის თვითეული ტიპის სახელწოდება წარმოქმნილია იმ „სასიცოცხლო სითხის“ სახელწოდებიდან, რომლის სიჭარბეც ვითომ შესაბამისი ტიპის თავისებურებას განაპირობებს.

ტ-ის ტიპების ფსიქოლოგიური მახასიათებლები კი გამოჩენილმა ფილოსოფოსმა, **ი. კანტმა** აღწერა.